ბრძანება:**ბ63. 6324116001**
თარიღი:**25/04/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის''-ის 26-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ა''ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეული იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2024 წლის 26 აპრილს 11 საათზე. სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი, რესპუბლიკის ქუჩა N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენილი იქნას დღის წესრიგის შემდეგი პროექტები:

1. ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირი №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232), ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.859), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ.), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257) არსებული №1 შენობა-ნაგებობის და ქალაქ სამტრედიაში, **კალანდარიშვილის ქ.**№7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ. და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

2. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 33.00 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.084) განთავსებული 13.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 6.54 კვ.მ შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 3560.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037) 500.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

4. ქალაქ სამტრედიაში, კოპალეიშვილის ქუჩაზე მდებარე 7171.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სპორტული მოედნის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.42.909) აღნაგობის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

5. 2024 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

6. სხვადასხვა.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი